

**სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო
აცხადებს კონკურსს პირდაპირი სატელევიზიო ეთერის დილის გადაცემის პროდიუსერის
პოზიციაზე**

თანამდებობის დასახელება: დილის შემეყნებით/გასართობი გადაცემის პროდიუსერი

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 08.12. 2017

ყოველთვიური დასაბეგრი შრომის ანაზღაურება: შეთანხმებით

სამუშაო ადგილი: ბათუმი, მ. აბაშიძის ქუჩა N41

გამოსაცდელი ვადა: 06 თვე

ფუნქციები:

- პირდაპირი ეთერის ყოველდღიური დილის გადაცემაში პროდიუსერის ფუნქციის შესრულება; (დამატებითი ინფორმაცია სამსახურებრივ ფუნქციებსა და სამსახურის სტრუქტურაზე შესაძლებელია იხილოთ ოფიციალურ ვებ-გვერდზე (<http://adjaratv.ge>) განთავსებულ საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახურის დებულებაში)

კონკურსში მონაწილეობის მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- უმაღლესი განათლება ჟურნალისტიკის ან სხვა შესაბამის სფეროში;
- უცხო ენის ცოდნა;
- კომუნიკაბელურობა და გუნდური მუშაობის უნარი;
- ინფორმაციის ეფექტურად გადმოცემის უნარი;

შენიშვნა: უპირატესობა მიენიჭება კონკურსში მონაწილე იმ კანდიდატს, ვისაც აქვს მედია საშუალებაში მუშაობის გამოცდილება, ფლობს სამონტაჟო და სხვა პროგრამებს, რომლებიც აუცილებელია პროდიუსერის საქმიანობისთვის.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

- პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი
- CV
- სამოტივაციო წერილი

კონკურსის ეტაპები:

- განაცხადების გადარჩევა
- გასაუბრება (დავალებები)

დამატებითი ინფორმაცია:

1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება და აკმაყოფილებს განსაზღვრულ მოთხოვნებს;
2. დაინტერესებულმა პირმა კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადი უნდა წარმოადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (HR@ajaratv.ge);

3. დაინტერესებულმა პირმა გამოსაგზავნი ელექტრონული ფოსტის სათაურში (Subject) უნდა მიუთითოს ვაკანტური პოზიციის ზუსტის დასახელება;
4. დაინტერესებული პირის მიერ არასრულყოფილად წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ განიხილება;
5. დაინტერესებულ პირს კონკურსთან დაკავშირებული (დადებითი/უარყოფითი პასუხი) ინფორმაცია ეცნობებათ მითითებული ელექტრონულ ფოსტის მისამართზე;
6. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას მიიღებს განაცხადების წარმოდგენის ვადის ამოწურვიდან არა უგვიანეს სამი თვის ვადაში;
7. კონკურსთან დაკავშირებული სხვა საკითხები მოწესრიგებულია მაუწყებლის დირექტორის 2017 წლის 08 მაისის NO2-03/10 ბრძანებით დამტკიცებულ წესში (გამოქვეყნებულია <http://adjaratv.ge>);

საკონტაქტო ინფორმაცია:

საკონტაქტო პირი: ნათია ხუნდაძე
მისამართი: ბათუმი, მემედ აბაშიძის ქუჩა N41
ტელ: +995 422 274370
ელ-ფოსტა: HR@ajaratv.ge